დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №34
2023 წლის 13 დეკემბერი

ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე, სამშენებლო ზედამხედველობასთან დაკავშირებული დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1.

დამტკიცდეს:

ა) მითითების ფორმა, დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) შემოწმების აქტის ფორმა, დანართი № 2-ის შესაბამისად;

გ) უწყების ფორმა, დანართი №3-ის შესაბამისად;

დ) დათვალიერების ოქმის ფორმა, დანართი №4-ის შესაბამისად;

ე) მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმის ფორმა, დანართი №5-ის შესაბამისად;

ვ) სააღსრულებო ფურცლის ფორმა, დანართი № 6-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

1. ამ დადგენილების პირველი მუხლის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული დოკუმენტების შედგენის უფლებამოსილების განხორციელება დაეკისროს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული სააღსრულებო ფურცლის შედგენის უფლებამოსილება დაეკისროს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ განყოფილებას.

მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დმანისის მუნიციპალიტეტში სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების ფორმის, შემოწმების აქტის და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის №17 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 30/09/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.156.016368).

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია
მითითება №_____

_____ _____/_____/_____

(შედგენის ადგილი) (შედგენის თარიღი)

დამრღვევის დასახელება: _____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი/ორგანიზაციის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

სამშენებლო ობიექტი: _____

_____

(დანიშნულება, მისამართი, საკადასტრო კოდი, მესაკუთრე)

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 123-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოვლინდა სამართალდარღვევის შემდეგი ფაქტი:

_____

_____

_____

_____

_____

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგაეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 124-ე მუხლის საფუძველზე, გაიცა მითითება:

ა) სამშენებლო დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ;

ბ) დარღვევის გამოსწორების შესახებ;

გ)სამშენებლო ობიექტზე არსებული სამშენებლო მასალის, ნაკეთობისა და კონსტრუქციის გამოყენების აკრძალვის შესახებ;

დ) მშენებლობის ორგანიზების პროექტით დადგენილი წესების დარღვევის გამოსწორების შესახებ.

დარღვევის გამოსწორების ვადა _____ (_____) დღე.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი: _____ _____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი: _____ _____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი: _____ _____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი: _____ _____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

დამრღვევი: _____ _____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

შენიშვნა: _____

_____

_____

დანართი №2

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

შემოწმების აქტი №_____

შედგენის ადგილი ---------- _____/_____/_____წ.

(შედგენის თარიღი)

დამრღვევის დასახელება:

_____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი/ორგანიზაციის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

სამშენებლო ობიექტი:

_____

_____

(დანიშნულება, მისამართი, საკადასტრო კოდი, მესაკუთრე)

დამრღვევს მიეცა №_____ მითითება მასზე, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 123-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოვლინდა სამართალდარღვევის შემდეგი ფაქტი:

_____

_____

_____

1. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 124-ე მუხლის საფუძველზე გაიცა მითითება:

ა) სამშენებლო დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ;

ბ) დარღვევის გამოსწორების შესახებ;

გ) სამშენებლო ობიექტზე არსებული სამშენებლო მასალის, ნაკეთობისა და კონსტრუქციის

გამოყენების აკრძალვის შესახებ;

დ) მშენებლობის ორგანიზების პროექტით დადგენილი წესების დარღვევის გამოსწორების შესახებ.

2. აქტის შედგენის ეტაპისათვის მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა აჩვენებს,

რომ დამრღვევის მიერ №_____ მითითება:

ა) მითითება შესრულდა და დარღვევები გამოსწორებულია;

ბ) მითითება არ შესრულდა;

გ) მითითება არადროულად შესრულდა.

3. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

ა) ამ კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას (მშენებლობის შეჩერების

შესახებ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა);

ბ) დარღვევის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) შესაბამის ორგანოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმ ობიექტის

ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც

დამთავრებულია;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას;

ზ) ამ კოდექსის 138-ე მუხლის (მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში.

დარღვეულია:

_____

_____

(გამოვლენილი დარღვევა)

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი: _____ _____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი: _____ _____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

დამრღვევი: _____ _____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

შენიშვნა:

_____

_____

_____

დანართი №3

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

უწყება № -----

გაგზავნის თარიღი ------ ----------

სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო

სამართალდარღვევის გამო დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით ვალდებული ბრძანდებით, გამოცხადდეთ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურში, სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებულ საქმის განხილვაზე, ქვემოთ მითითებულ დროს, მითითებულ ადგილზე.

დამრღვევის დასახელება და მისამართი

ობიექტის დასახელება და მისამართი

საქმის განხილვის თარიღი: ---

საქმის განხილვის ადგილი ---

საქმის განხილვის დრო ---

საქმის განმხილველი თანამდების პირის ვინაობა---

პირი, რომელსაც უწყება ჩაჰბარდა ---

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სამსახურის უფროსი:

სახელი, გვარი

დანართი №4

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

დათვალიერების ოქმი №----------

------/------/ ---------- ---

შედგენის თარიღი მისამართი

შემდგენელი/უფლებამოსილი პირი (პირები) ---

(თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი)

დათვალიერების საფუძველი:

1. შემოსული წერილი № და თარიღი----------

2. ცხელი ხაზი № და თარიღი ----------

3. აშკარა დარღვევა ----------

დასათვალიერებელი ობიექტის:

1. მესაკუთრე----------

2. მშენებელი ----------

3. დამკვეთი ----------

4. სხვა ----------

დასათვალიერებელი ობიექტის ზუსტი აღწერა და პარამეტრები: ----------

---

სამართალდარღვევა სამშენებლო საქმიანობაში:

1. სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა;

2. უნებართვო მშენებლობა, რეკონსტრუქცია ან დემონტაჟი;

3. ობიექტზე საინფორმაციო დაფის განუთავსებლობა ან დაფაზე არასრული ინფორმაციის განთავსება;

4. უსაფრთხოების ღობის ან/და დამცავი ბადის დარღვევით განთავსება ან განუთავსებლობა;

5. ობიექტის ფუნქციონირება ექსპლუატაციაში მიუღებლად;

6. მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა;

7. მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა;

8. იმ ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობა, რომლის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის გარეშე არსებობა უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.

ახსნა-განმარტება: ----------

დაინტერესებული პირი:_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ **ხელმოწერა:**_ _ _ _ _ _ _

(სახელი, გვარი)

შემდგენელი/უფლებამოსილი პირი:_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ **ხელმოწერა:**_ _ _ _ _ _ _

(სახელი, გვარი)

დანართი №5

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი №-

შედგენის თარიღი ----------

დამკვეთი, დამკვეთის წარმომადგენელი----------

მენარდე, მენარდის წარმომადგენელი----------

არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის

შესაბამისი ორგანოს წარმომადგენელი ----------

სამშენებლო მოედანზე შევადგინეთ ეს ოქმი, მასზედ, რომ მოვახდინეთ სამშენებლო სამუშაოების დათვალიერება შემდეგ ობიექტზე:

ობიექტის დასახელება----------

ობიექტის მისამართი----------

დამკვეთი----------

მენარდე----------

საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებულია----------

სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად,

კერძოდ:----------

ოქმის შედგენისას წარმოდგენილია სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, გამოცდილება(შემოწმება) აქტები,

გამოყენებული მასალების სერტიფიკატები, ფარული და სხვა სამუშაოების შემდეგი აქტები:

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვადასტურებთ მშენებლობის ეტაპის

---------- დასრულებას

დოკუმენტაციის დამოწმებული ასლები თან ერთვის

დამკვეთი, დამკვეთის წარმომადგენელი ----------

მენარდე, მენარდის წარმომადგენელი ----------

არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაზე

საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი

ორგანოს წარმომადგენელი ----------

(ხელმოწერა)

დანართი № 6

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება

ს ა ა ღ ს რ უ ლ ე ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი

№_____

„ ----------“ 20 წელი ქ. დმანისი

_____

(სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების ან/და სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ ბრძანების შემდგენი)

სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების №_____ და შედგენის თარიღი _____/_____/_____

(დღე) (თვე) (წელი)

ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი:

_____

_____

_____

არსებობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდარღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების №_____ და

შედგენის თარიღი _____/____/____

(დღე) (თვე) (წელი)

ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი:

_____

_____

_____

_____

_____

(კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები)

_____

(მოვალის დასახელება და რეკვიზიტები)

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი: _____/_____/_____

(დღე) (თვე) (წელი)

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი:

_____